

დარგობრივი ტექსტის თარგმნის ზოგიერთი საკითხი კონტრასტულ ჭრილში

ელისო კორიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

E:mail:elisso.koridse@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.45>

დარგობრივი ენების შესწავლას და შესაბამისი ტექსტების კვლევას არაერთი მონოგრაფია და სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა, რაც სამყაროში არსებული გლობალური ცვლილებებითაა განპირობებული. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესებმა ნაციონალური, მონოკულტურული კომუნიკაციიდან საერთაშორისო ინტერკულტურულ კომუნიკაციაზე გადასვლის აუცილებლობა გამოიწვია. შესაბამისად, სულ უფრო მნიშვნელოვანია არამხატვრული, დარგობრივი ტექსტების ერთი ენიდან მეორეზე გადატანა. თითქოს, ერთი შეხედვით ნაკლებად შემოქმედებითი და მონოტონური პროცესი, გარკვეულ სირთულეებთან და პრობლემებთანაა დაკავშირებული.

დარგობრივი ტექსტების კვლევა ძირითადად ლექსიკურ დონეზე მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ არ ხდება, ან ნაკლებადაა ტექსტის სხვა დონეები (პრაგმატული, სტილისტური და ა.შ) გათვალისწინებული. დარგობრივი ტექსტები სხვადასხვა კლასიფიკაციას ექვემდებარება, მაგალითად, განასხვავებენ დარგობრივ სამეცნიერო ენას, რომლის შესახებ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, რადგან განსხვავებულია ერთი მხრივ სამეცნიერო-ტექნიკური და სამეცნიერო-ჰუმანიტარული ტექსტების კვლევის მიზნები და მეთოდოლოგია. ამ უკანასკნელის შემთხვევაში აუცილებელია არამარტო წმინდა ენობრივი კრიტერიუმების გათვალისწინება, არამედ დისკურსული და ისტორიული ასპექტებიც მხედველობაშია მისაღები. ასევე, მნიშვნელოვანია თანამედროვე ტენდენცია ინტერდისციპლინარიზმისადმი, სულ უფრო ირღვევა საზღვრები არამარტო მონათესავე, არამედ თვით სრულიად განსხვავებულ მეცნიერებებს შორის, რაც თავისთავად კიდევ უფრო აქტუალურს ხდის სამეცნიერო ენის კვლევას.

არსებობს საინტერესო კვლევები ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო ენების შესახებ. მაგალითად, ცნობილი ენათმეცნიერი ვილჰელმ დილთაი დარგობრივი ენების კვლევისას მიუთითებდა ჰუმანიტარული მეცნიერებების „იდეოგრაფიულობაზე“ (ideographisch), საბუნებისმეტყველო მეცნიერებების „გასაგებ“ ბუნებაზე (verstehend) და აქვე აღნიშნავდა, რომ ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გერმანული ენობრივ-კულტურული სივრცისთვისაა დამახასიათებელი [Dilthey 1990: 242-258].

ასევე, მნიშვნელოვანია ჰარალდ ვაინრიხის ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილია შედარებითი კვლევა ერთი მხრივ, მოლეკულური ბიოლოგიის და მეორე მხრივ, ხელოვნების ისტორიის ტექსტებისა, რომელშიც ის წარმოაჩენს მათ შორის მსგავსებებს და განსხვავებებს. შესაბამისად, მკვლევარი მიუთითებს, რომ საგნობრიობა, პრაგმატულობა და ეპისტემურობა წარმოადგენს საერთოს, ხოლო განსხვავებულია ის ფაქტორები, რომ საბუნებისმეტყველო ტექსტში აქცენტი გადატანილია კონკრეტულ პრობლემატიკაზე და არა ენობრივ მხარეზე, მაშინ როდესაც, ჰუმანიტარულ ტექსტში საგანი და ენა ჰარმონიულადაა წარმოჩინებული [Weinrich 1995: 157].

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ენისთვის, უფრო მეტადაა ნიშანდობლივი ზოგადად, დარგობრივი ენებისათვის საერთო მახასიათებლები, კერძოდ - ეპისტემურობა და არგუმენტაციული სტრუქტურები.

ჰ.კრეტენბახერი მიუთითებს დარგობრივი ენის სპეციფიკაზე და საილუსტრაციოდ ასახელებს სამედიცინო და ქიმიურ დარგობრივ ტექსტებს:

„Fachwörter sind die deutlichsten Kennzeichen der Fachlichkeit auf der Textoberfläche, und zugleich sind sie gute Indikatoren der jeweiligen Disziplin, zu der ein Fachtext gehört ...Nomenklatur und Terminologiesysteme in den Naturwissenschaften und der Technik streben dem Ideal einer Eineindeutigkeit von Termini bzw. Nomenklaturzeichen nach, das Polysemie und Synonymie ausschließen würde. In den medizinischen und chemischen Nomenklatorsystemen beispielsweise geht das bis in bestimmte wiederkehrende Morpheme, die bestimmte Stellen des Terminologiesystems besetzen; so legt die Genfer Nomenklatur der organischen Chemie die Einzelmorpheme für Bezeichnungen organischer Verbindungen nach der Länge und Position von Kohlenstoffketten fest.“ [Kretzenbacher 2010: 493].

ბ.ჯორბენაძე მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ტექსტი გადმოსცემს გარკვეულ ინფორმაციას, რაც არამხატვრული ტექსტისათვის ძირითადი და განმსაზღვრელია. მხატვრული ტექსტისთვის კი, ნებისმიერი ინფორმაცია არსებითად მხოლოდ საშუალებაა მხატვრული სახის შესაქმნელად, რაც, თავისთავად, კონკრეტულის განზოგადოებულის სახით წარმოდგენას გულისხმობს: „ორივე პირობადადებულია კონკრეტული რეალური სიტუაციის, მოვლენის მიერ. ეს მსგავსებაა. მაგრამ იმავდროულად განსხვავებაც ხელშესახებია: არამხატვრული ტექსტი ბოლომდე ინარჩუნებს კავშირს ასახულ რეალობასთან. ამ კავშირის გარეშე მას არავითარი შემეცნებითი თუ ემოციური ღირებულება არა აქვს. ამის საპირისპიროდ, მხატვრული ტექსტი (მეტნაკლებად) წყვეტს უშუალო კავშირს კონკრეტულ მოვლენებთან და დამოუკიდებელ მონაცემად იქცევა..., არამხატვრულ ტექსტს მხოლოდ იმდენად აქვს ღირებულება, რამდენადაც იგი გარკვეულ რეალურ მოვლენას ასახავს, მას (ამ მოვლენას) მიემართება, მას მხოლოდ ამ მიმართების თვალსაზრისით აქვს გამოყენება“ [ჯორბენაძე, 1963: 24].

მ.შრაიბერის მიხედვით, ენობრივი კომუნიკაცია მიმდინარეობს ტექსტებით, სტრუქტურულად და აზრობრივად დასრულებული ერთეულებით, რომლებიც თავის მხრივ, კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ფონით განისაზღვრებიან. საერთო ყოველდღიური ენობრივი კომუნიკაციის გარდა არსებობს აგრეთვე სპეციალურ-დარგობრივი კომუნიკაცია, შესაბამისი სპეციალურ-დარგობრივი ტექსტის სახეობებით:

„Wie in der gemeinsprachlichen Kommunikation gibt es auch in der Fachkommunikation unterschiedliche Texttypen und Textsorten wie z.B. wissenschaftliche Bücher, Aufsätze, Abstracts, Gebrauchsanweisungen, Berichte, Produktbeschreibungen, Vorträge, Verträge, usw. Auch wenn man in der Regel davon ausgehen kann, dass Fachtexte hauptsächlich dem informativen Texttyp zuzuordnen sind, spielen appellative Elemente eine nicht zu unterschätzende Rolle, wie z.B. bei Produktbeschreibungen, die den Kundinnen ein positives Firmenimage vermitteln sollen, wissenschaftlichen Abstracts, die die Textrezipientinnen von der Signifikanz der neuen Erkenntnisse Überzeugen wollen, oder auch Gesetztexten, die ja eine zwingende direktive Wirkung beabsichtigen.“ [Schreiber, 1999: 111].

უნდა აღინიშნოს, რომ დარგობრივი ტექსტებისათვის მთავარი და განმსაზღვრელი არის საგნობრიობა და ამ მხრივ იგი განსხვავდება მხატვრული ტექსტებისაგან. ვ.ფურცელაძის მიხედვით: „არამხატვრულ პროზაულ ტექსტებს მიეკუთვნება იურიდიული დოკუმენტები, საგაზეთო რეკლამები, საცნობარო ინფორმაციის შემცველი ტექსტები, რომლებიც შეიცავს რაიმე საცნობარო პოპულარულ-მეცნიერულ, საყოფაცხოვრებო, რელიგიის, ისტორიის და მრავალ სხვა მასალას. მოცულობის შეზღუდულობის გამო საჭიროა მკითხველისათვის ინფორმაციის მოკლედ და ზოგად ხაზებში მიწოდება. ავტორები ცდილობენ ობიექტურნი იყვნენ, მიუდგომლად გადმოსცენ მათ მიერ მოპოვებული მასალა, ხოლო თვითონ ჩრდილში დარჩნენ და მხოლოდ შიგადაშიგ მცირეოდენი აუცილებელი განმარტება ჩართონ ტექსტში“ [ფურცელაძე, 1998: 55].

დარგობრივი ტექსტების მთავარი მახასიათებლებია:

- ტექსტის პროდუცენტი არის ამ დარგის სპეციალისტი;
- ტექსტის თემა არის კონკრეტული დარგის საკვანძო საკითხი;
- კომუნიკაციაში გვხვდება სპეციალური ენობრივი ერთეულები და ტერმინები;
- ტექსტში გამოყენებულია კონკრეტული გრამატიკული საშუალებები და ტექსტის სახეობები.

განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი ასპექტები:

- დარგობრივი სიზუსტე;
- ზუსტი დეფინიციები;
- გამონათქვამთა სიცხადე;
- თემისა და აზრის კონკრეტულობა;
- ინფორმაციულობა და რაციონალურობა (დასაბუთების მკაცრი ლოგიკა);
- ენობრივი ფორმულირების მკაცრ სტანდარტამდე ნორმირება, გარკვეული შტამპებისა და კლიშეების არსებობა;
- ობიექტურობა;
- ისტორიულად დაგენილი ფორმები და ტერმინები;
- ხატოვანი გამონათქვამების უგულებელყოფა;
- საყოველთაოდ გასაგები შინაარსი

ამ ნიშანთაგან ყველა ერთნაირი დოზით არ გვხვდება. მათი არსებობა დამოკიდებულია კონკრეტულ ტექსტზე.

რაც შეეხება დარგობრივი ტექსტების თარგმანს, სულ უფრო აქტუალურია ამგვარი ტექსტების ერთი ენიდან მეორეზე გადატანის მეთოდების და ტექნოლოგიების დახვეწა, სრულყოფა და მათი მომარჯვება. თარგმანის თეორია, როგორც ნებისმიერი მეცნიერული დისციპლინა, მუდმივად ვითარდება და წინ მიდის. შესაბამისად, განსხვავებულია მხატვრული და დარგობრივი ტექსტების კვლევის ხერხებიც, მაგრამ ისინი პირველ რიგში ენათაშორისი კომუნიკაციის პროდუქტს წარმოადგენენ და გარკვეულ ეტაპამდე კვლევის ერთ გზას გადიან. თარგმნისას გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტორიც, რომ მხატვრულ ტექსტში ენა მრავალპლანიანი და შეუზღუდავია, ხოლო დარგობრივი ტექსტი ექვემდებარება სპეციალურ ენობრივ-სტილისტურ ნორმებს. დარგობრივი ტექსტების აღქმა-გაგება ნაკლებად კომპლექსური და ჰეტეროგენულია, ვიდრე მხატვრული ტექსტისა. დარგობრივი ტექსტი და მისი თარგმანი განკუთვნილია ადამიანთა მხოლოდ გარკვეული ჯგუფისადმი და არა ფართო აუდიტორიისათვის.

როგორც ვ.კოლერი მიუთითებს, განსაკუთრებით აქტუალურია გერმანულენოვან სივრცეში დარგობრივი ინგლისურენოვანი თარგმანები, რადგან მათი უმეტესობა ლინგვა ფრანკაზე იქმნება და საერთაშორისო აუდიტორიისათვისაა განკუთვნილი [Koller, 2011: 27].

თარგმნისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ დარგობრივი ტექსტები, მიუხედავად განსხვავებული ტიპოლოგიური მახასიათებლებისა, ერთგვაროვან ჩარჩოს ექვემდებარებიან. დარგობრივი ტექსტები, პირველ რიგში, ორდინარული ტექსტებია. მათთვის დამახასიათებელია კომპოზიციური სიმწყობრე და მონოთემატურობა, რაც ხელს უწყობს ტექსტში თემის თანმიმდევრულ განვითარებას და მიმართებების მკაფიოდ გამოხატვას. დარგობრივი ტექსტების კორექტული თარგმნის წინაპირობაა წინარეცოდნა, ტექსტის სახეობის ცოდნა, დარგობრივი ინფორმატიულობა. დარგობრივი ტექსტები დაახლოებით ერთ სტანდარტზეა აგებული, ხოლო კომპოზიციის ზოგი ელემენტი ფაკულტატურია.

დარგობრივი თარგმანის შესრულებისას პრობლემურია ასევე, ერთი ენიდან მეორეზე კონკრეტული ტექსტის სახეობის ადეკვატურად გადმოტანის საკითხიც. ძირითადად, იურიდიული დოკუმენტი ითარგმნება იურიდიულ დოკუმენტად, ინსტრუქცია რაიმეს გამოყენების შესახებ - ინსტრუქციად და ა.შ. მაგრამ არსებობს სხვა შემთხვევებიც. პ.კუსმაული აღწერს შემთხვევას, როდესაც კულტურულმა და სიტუაციურმა განსხვავებამ, შეიძლება განაპირობოს განსხვავება თვით ტექსტის სახეობებსაც შორის, კერძოდ, როდესაც ის და მისი სტუდენტები შეეცადნენ ეთარგმნათ ინგლისურენოვანი პრესის ტექსტები ინგლისზე და ინგლისელებზე. საგაზეთო სტატიები მიეკუთვნებოდა ჟურნალისტური ტექსტის სახეობას - **გლოსებს** (Glosse) და ატარებდა კრიტიკულ-სატირულ ელფერს. ისინი იმდენად სპეციფიკური და მხოლოდ ინგლისელებისათვის გასაგები იყო, მაგრამ ნაკლებად გასაგები გერმანულენოვანი მკითხველისათვის, რომ მთარგმნელები იძულებული გახდნენ, ტექსტებისათვის მიეცათ ძირითადად საინფორმაციო ხასიათი და უგულვებელყოთ სატირული ქვეტექსტი: „ Aus Satiren und Glossen wurden homorvolle englandkundliche Texte – ein Balanceakt zwischen Amusement und Information. Unsere Ergebnisse

vervielfältigten wir dann in einem Heft mit dem Titel „Engländer sehen England.“ (Kußmaul, 2007: 34).

დარგობრივ ტექსტებთან მიმართებით უაღრესად მნიშვნელოვანია **ექვივალენტურობის** ცნება, რადგან ისინი განიხილება როგორც ენობრივ-კომუნიკაციური ხდომილების მოდელები. ბერნდ შპილნერის მიხედვით: „Texte verschiedener Sprachen sind vergleichbar, wenn sie bei ähnlicher Thematik in äquivalenten Sprechsituationen (Ort, Anlaß, Redezweck etc) oder mit äquivalenter Redestrategie produziert wurden.“ [Spillner, 1971: 114].

ნულოვან ექვივალენტურობას აქვს ადგილი, როცა ერთ ან რამდენიმე ენაში რომელიმე ტექსტის სახეობა არ არსებობს. იგი შეიძლება განპირობებული იყოს ეროვნული კულტურით, ეროვნული მენტალობით და ფსიქოლოგიით. **ტოტალური (სრული) ექვივალენტურობა** არის სრული თანხვედრა როგორც დენოტატური, ასევე სიგნიფიკატური ნიშნით. სრული ექვივალენტურობა ეხება საერთაშორისო ტექსტის სახეობებს პოლიტიკის, ეკონომიკის, იურისპრუდენციის საკომუნიკაციო სფეროებიდან და გამოიხატება ისეთი ტექსტებით, როგორცაა, ხელშეკრულებები, ქარტიები, პროტოკოლები, მასმედიის ენაში - ფელეტონი, კომენტარი და ა.შ. **ნაწილობრივი ექვივალენტურობა**, ანუ დენოტატური თანხვედრა, არის სიგნიფიკატური დიფერენციაცია, თანხვედრა ექსტენსიურობის მხრივაც, მაგრამ განსხვავება ინტენსიონალურობაშია. იგი განპირობებულია პირველ რიგში სტრუქტურულ-სპეციფიკური თავისებურებებით, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც ენის სტრუქტურულ ვარიანტებს, ასევე ენობრივ ფორმულირებებს.

მკვეთრი ინტერკულტურული განსხვავება წარმოჩინდება თუნდაც ისეთ, ერთი შეხედვით ფორმითა და შინაარსით მარტივ ტექსტის სახეობასთან, როგორცაა **სამეცნიერო ნაშრომის დასკვნა**. ინგლისური conclusion არსებითად განსხვავდება გერმანული Zusammenfassung - ისაგან მთელი რიგი ნიშნებით, მაგალითად, ინგლისური ტექსტისათვის დამახასიათებელია აზრის ჩამოყალიბება ტექსტის სეგმენტების მარკირებით, ხოლო გერმანულისათვის უფრო გავრცობილი სტრუქტურაა ნიშანდობლივი.

გერმანულ და ქართულ კულტურულ და მენტალურ თავისებურებებზეა მიუთითებს ქვემოთ წარმოდგენილი ტექსტი, რომელიც აბსოლუტურად მისაღები და გასაგებია გერმანულისათვის, მაგრამ ცოტა გაუგებარი და შეიძლება კომიკურიცაა ქართველისათვის. ტექსტის არის ინსტრუქცია საშობაო ნაძვის ხის შესახებ, რომელიც უნდა დაიდგას საჯარო სივრცეში (სამსახურში). ტექსტში დაწვრილებითაა აღწერილი საშობაო ხის არსი და რაობა, სწორად დადგმის და უსაფრთხოების წესები და სხვ.

„RICHTLINIEN über die Verwendung von Dienstweihnachtsbäumen
Gesetzliche Grundlage §45 Heeresgebührengesetz:

Dienstweihnachtsbäume sind Weihnachtsbäume natürlichen Ursprungs oder natürlichem Bäumen nachgebildete Weihnachtsbäume, die zur Weihnachtszeit in Diensträumen aufgestellt werden.

Aufstellen von Dienstweihnachtsbäumen:

Dienstweihnachtsbäume (DWB) dürfen von sachkundigem Personal nach Anweisung des unmittelbaren Vorgesetzten aufgestellt werden. Dieser hat darauf zu achten, dass der DWB mit seinem unteren, der Spitze entgegengesetzten Ende in einem zur Aufnahme von baumendem geeignetem Halter

eingebraucht und befestigt wird, in der Haltevorrichtung derart verkeilt wird, dass er senkrecht steht (in schwierigen Fällen ist ein zweiter Beamter hinzuzuziehen, der die Senkrechtstellung überwacht bzw. Durch Zurufe wie „mehr links, mehr rechts“ usw. Korrigiert). (...9 Der Vorgesetzte hat weiters dafür zu sorgen, dass im Umfallbereich des DWB keine zerbrechlichen oder durch einen umfallenden DWB in ihrer Funktion zu beeinträchtigende militärische Anlagen vorhanden sind (...))“ [Kadric, 2005: 67].

კულტურულ განსხვავებას წარმოაჩენს სხვადასხვა ენობრივ საზოგადოებებში **გაცნობის განცხადებების** კვლევის შედეგებიც. მაგალითად, გერმანულში არ არსებობს ფორმისა და შინაარსის ერთი რაიმე სტანდარტი, მათში არის როგორც ორიგინალურობა, ასევე მახვილგონიერება და იუმორი. ესპანური და იტალიური განცხადებები კი ამ მხრივ ბევრად უფრო მშრალი და შეზღუდულია, ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ გერმანულენოვან, ესპანურ თუ იტალიურ სამყაროებში არის ტექსტის ამ სახეობის განსხვავებული პროტოტიპები.

ამგვარად, სხვადასხვა ენობრივ კულტურაში ერთიდაიგივე ტექსტის ჟანრისათვის განსხვავებული მოდელები არსებობს. თარგმანში გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ სხვადასხვა ენობრივ კომუნიკაციაში ისინი განსხვავებულად ფუნქციონირებენ. მაგალითად, საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა - **წამლის თანდართული ინსტრუქცია** - სხვანაირია გერმანულ და პორტუგალიურ სამყაროებში. გერმანული ინსტრუქციის ტექსტი ერთნაირად განკუთვნილი და გასაგებია როგორც ექიმის, ასევე, სამედიცინო სფეროში მეტნაკლებად გარკვეული პაციენტისათვისაც, ხოლო პორტუგალიური უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს ექიმისთვის, ვიდრე პაციენტისთვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დარგობრივი ტექსტის თარგმნისას უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც სპეციალურ-დარგობრივი და ენობრივ-სტილისტური მახასიათებლების, ასევე ორიგინალური და სათარგმნი ენობრივი საზოგადოებების კულტურული თავისებურებების ცოდნა და შესაბამისად მომარჯვება.

საკვანძო სიტყვები: დარგობრივი ტექსტი, თარგმანი, კონტრასტული ჭრილი

ლიტერატურა:

ფურცელაძე, ვ. ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება. ნაწილი მეორე. გამომცემლობა „სამშობლო.“ თბილისი. 1998.

ჯორბენაძე, ბ. მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის ზოგიერთი საკითხისათვის. სამეცნიერო შრომები. 5. თბილისი. 1963.

Dilthey, W. Hermeneutic Approach to the Study of Martinus Nijhoff Philosophy Library (MNPL, volume 2) History and Culture. 1990.

Kadric, Mira. Kaindl, Klaus. Kaiser Cooke, Michele. Translatorische Methodik. Basiswissen Translation 1. Facultas Verlags und Buchhandlung AG. Wien. 2005.

Koller W. Einführung in die Übersetzungswissenschaft. 8. Auflage. A. Franke. UTB. 2011.

Kretzenbacher. H. Fach- und Wissenschaftssprachen in den Geistes- und Sozialwissenschaften. In: Krumm, Hans-Jürgen / Fandrych, Christian / Hufeisen, Britta / Riemer,

Claudia (Hgg.). *Deutsch als Fremd- und Zweitsprache: ein internationales Handbuch*. 1. Halbband. Berlin: de Gruyter. 2010.

Kußmaul P. Verstehen und Übersetzen. Ein Lehr- und Arbeitsbuch. Gunter Narr Verlag Tübingen. 2007.

Kühlwein W. Thome G., Wills W. (Hrsg.) Kontrastive Linguistik und Übersetzungswissenschaft. Wilhelm Fink Verlag. München. 1987.

Schreiben M. Textgrammatik. Gesprochene Sprache. Sprachvergleich. Peter Lang. Frankfurt am Main. 1999.

Spillner, B. FACHTEXTE IM INTERKULTURELLEN VERGLEICH. KONTRASTIVE PRAGMATIK DEUTSCHER, FINNISCHER UND FRANZÖSISCHER WIRTSCHAFTSTEXTE. Mercator-Universität, Duisburg. 1971.

Weinrich, H. Akademie der Wissenschaften zu Berlin. Forschungsberichte. De Gruyter. 1985.

Eliso Koridze

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

E:mail:elisso.koridse@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.45>

Some issues of translating a specialized text from a contrasting perspective

Abstract

Numerous monographs and scientific works have been devoted to the study of specialized languages and the research of relevant texts, which is due to global processes in the world. The integration processes taking place in the modern world have led to the necessity of transitioning from national, monocultural communication to international intercultural communication. Accordingly, it is increasingly important to translate non-fiction, specialized texts from one language to another. This seemingly less creative and monotonous process is associated with certain difficulties and problems.

Keywords: specialized text, Some issues of translating, contrasting perspective